ჩემპიონატი

მეკარის შეცდომით ერთი ქულის დაკარგვა

სტალინგრადის "ტრაქტორი", ეს ერთადერთი გუნდია, რომელიც ხშირ უსიამოვნებას აყენებს ყოველწლიურად გათამაშების ლიდერებს – მოსკოვის "დინამოს", "სპარტაკს" და განსაკუთრებით კი **თბილისის "დინამოს".** 5 წლის განმავლობაში ე.ი. 1937 წლიდან დღემდის ვერ მოახერხეს თბილისის დინამოელებმა ამ გუნდისათვის ერთხელ მაინც გამოეტაცათ ხელიდან ორი ქულა – მოეგოთ მატჩი. უკეთეს შემთხვევაში თბილისელები აღწევდნენ მხოლოდ ყაიმს.

მოსალოდნელი იყო რომ დინამოელები 18 მაისს თავიანთ მოედანზე, იმის შემდეგ, რაც "ტრაქტორის" გუნდს გამოაკლდა საუკეთესო მოთამაშეები – პონომარიევი, პროცენკო და პრივორნოვი, შეძლებდნენ რევანშის აღებას. მოლოდნი არ გამართლდა, "ტრაქტორმა" მიაღწია ტრადიციულ შედეგს. შეხვედრა დამთავრდა ფრედ – 1:1.

აღვნიშნავთ რამდენიმე საგულისხმო მომენტს, კერძოდ, თბილისის "დინამოს" ტაქტიკური თამაშის სისუსტესა და მეკარე ტყებუჩავას უხეშ შეცდომას. დინამოელებმა ტაიმის დასაწყისში თამაში აგრესიულად დაიწყეს. ეს უდაოდ კარგია. მაგრამ ამას თან უნდა დართოდა ეს ზუსტი კომბინაციური თამაში და კარში დარტყმის სიზუსტე. თბილისის დინამოელთა თამაშიდან გამარჯვებისათვის საჭირო ეს ორი უკანასკნელი პირობა მხედველობიდან გამორიცხული აღმოჩნდა. საერთოდ გუნდი ამ მატჩისათვის სუსტად იყო მომზადებული. ბერეჟნოის, გავაშელსა და პანიუკოვს დასჩემდათ ახირებული თვისება – დგას თუ არა ხელსაყრელ ადგილზე შუამარბი ბ. პაიჭაძე, ბურთი აუცილებლად უნდა მიაწოდონ მას. ისინი ამით აშკარად ამჟღავნებენ კარში დარტყმის სისუსტეს და უსაფუძვლოდ იზღვევენ თავს.

გარდა ამისა აღსანიშნავია ნახევარდამცველთა სუსტი თამაში იმ შემთხვევაში, როდესაც იერიშები მოწინააღმდეგეთა საჯარიმო მოედანზე მიმდინარეობს. ისინი უნდა იყვნენ მეექვსე და მეშვიდე თავდამსხმელები, დაუფლებულნი კარში დარტყმის ოსტატობას. ამ მხრივ მათთვის მისაბაძ მაგალითს წარმოადგენს ჩემპიონის – მოსკოვის "დინამოს" ნახევარმცველი პალისკა.

დასასრულ უნდა აღინიშნოს ტყებუჩავას უხეში შეცდომა, რომელმაც დინამოელებს დააკარგვინა ერთი ქულა. მატჩის დამთავრებას ხუთი წუთიღა აკლდა. პაიჭაძის მიერ გატანილი ერთადერთი ბურთით (1:0) მთავრდებოდა მატჩი. თბილისელებს მოგება, ორი ქულა ხელში ეკავათ. მაგრამ აი საკვირველი მოვლენა – მარჯვენა ფრთიდან კარში ძალზე სუსტად ურტყამს მატვეევი. ბურთი ნელა მიგორავს ტყებუჩავასაკენ და უკანასკნელი რატომღაც აკეთებს სხარტ ნახტომს, რის შედეგად უვარდება ბურთი ხელიდან და ეხვევა თავისავე კარის ბადეში. ტყებუჩავასათვის ეს მატჩი სერიოზული გაკვეთილი უნდა გახდეს. "ტრაქტორის" გუნდმა საერთოდ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. საუკეთესოდ სჯიდა თამაშს მსაჯი პრივალოვი.

ვ.ბ.
"ახალგაზრდა კომუნისტი", 20 მაისი, 1941 წ.